საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10063/01
23/10/2020

10063-01-2-202010231449

შპს „მაქს იმპორტის“ დირექტორს
დავით ზურაბიშვილს

მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი,
დ. წყნეთი, ი.გრიშაშვილის ქ., № 30

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 13 ოქტომბრის N16123 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მარის არხის III დასახლებაში, სს „რკინა-ბეტონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ცემენტის საწარმოების (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს.

როგორც განცხადებიდან ირკვევა, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარდა, შპს „მაქს იმპორტი“ გეგმავს ზემოაღნიშნულ საქმიანობებზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 26 ივნისის N 2-527 ბრძანებით და 2020 წლის 24 სექტემბრის N2-852 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანებას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი ახორციელებს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომლებისთვისაც გაცემულია რამდენიმე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია მიმართოს სამინისტროს განცხადებით და მოითხოვოს ამ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ერთ გადაწყვეტილებად გაერთიანება. სამინისტრო მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით იღებს გადაწყვეტილებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „მაქს იმპორტი“ მიიღებს გაერთიანებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე